ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს TR Company ს/კ404404435

- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
- მოგება-ზარალის ანგარიში
- სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
- კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

- ორგანიზაცია
- ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

შპს TR Company ს/კ404404435

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც რეალურად ასახავს **შპს TR Company ს/კ**404404435,ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ მიერ წარმოებული ოპერაციების კონსოლიდირებულ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო (მსს)სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.
  - ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
  - კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 28 სექტემბერი

დირექტორი:

ტაიებ
რაშიდმანეშ

სააღრიცხვო პრინციპები დ მეთოდები

შპს TR Company ს/კ404404435-ი, აწარმოებს **სააღრიცხვო პოლიტიკას,** რომელიც ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის ძირითად (ორმხრიობის, ფულადი შეფასების, საწარმოს ავტონომიურობის, უწყვეტობის, თვითღირებულების, კონსერვატიზმის, მატერიალურობის, რეალიზაციის, შესაბამისობის) პრინციპებს. სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება მიმდინარეობს სტანდარტებით დადგენილი წესების და მოთხოვნების შესაბამისად. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება წარმოებს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. ჯგუფი განეკუთვნება მე-3 ზომით კატეგორიას. უფლებამოსილია და იყენებს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლის თანახმადაც ვალდებულია შეადგინოს ფინანსურ ანგარიშგება (ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი); ანგარიშგება მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების შესახებ; ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ; ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ და ფინანსურ ანგარიშგებაზე დაურთოს განმარტებით შენიშვნები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა. ფინანსური ანგარიშგება გამიზნულია მომხმარებელთა ფართო წრისთვის.

ფინანსური ანგარიშგებები

შპს TR Company ს/ნ 404404435

კონსოლიდირებული ანგრიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

	31-12-19	31-12-18
აქტივი		
აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	884,028	2,690,185
მოკლევადიანი მოთხოვნები	666,243	106,330
სასაქონლო მატერიალური მარაგი	3,693,660	3,570,468
სულ მიმდინარე აქტივები	**5,243,931**	**6,366,983**
ძირითადი საშუალებები	15,491,683	15,143,641
სხვა აქტივები	22,744	22,744
არამატერიალური აქტივები	5,616	5,616
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	32,997,162	32,997,163
სულ გრძელვადიანი აქტივები	**48,517,205**	**48,169,164**
სულ აქტივები	**53,761,135**	**54,536,147**
პასივი		
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები	56,969	44,941
გრძელვადიანი ვალდებულებები	17,445,123	17,414,410
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**17,502,092**	**17,459,351**
კაპიტალი		
საწესდები კაპიტალი	62,360,643	62,316,643
გაუნაწილებელი მოგება/ ზარალი	-26,101,599	-25,239,846
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი		
სულ კაპიტალი	**36,259,044**	**37,076,797**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**53,761,136**	**54,536,147**

შპს TR Company დირექტორი: ტაიებ რაშიდმანეშ

შპს TR Company ს/ნ 404404435

კონსოლიდირებული მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

მოგების ან/და ზარალის ანგარიშგება	2019
შემოსავალი რელიზაციიდან	3,793,548
რეალიზებული პროდუქციის თვითრირებულება	(3,800,393)
საერთო მოგება	**(6,845)**
სხვა შემოსავალი	832,837
ადმინისტრაციული დანახარჯები	(1,687,745)
სულ ხარჯები	**(854,908)**
მოგება დაბეგვრამდე	**(861,753)**
მოგების გადასახადი	
წლის მოგება განგრძობითი საქმიანობიდან	(861,753)

შპს TR Company დირექტორი ტაიებ რაშიდმანეშ

* საქართველო. შპს "TR Company" * GEORGIA. "TR Company" LTD 404404435

შპს TR Company ს/ნ 404404435

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

	2019 წელი
საოპერაციო საქმიანობა	
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	6,505,328
გადასახადები	(8,311,485)
	(1,806,157)
საფინანსო საქმიანობა	
მიღებული სესხები	
გადახდილი სესხები	
	0
საინვესტიციო საქმიანობა	
გადახდილი დივიდენდები	
მიღებული დივიდენდები	
კაპიტალში შენატანები	
	0
არასაოპერაციო საქმიანობა	
არასაოპერაციო შემოსავლები	
	0
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში	(1,806,157)

შპს TR Company დირექტორი ტაიებ რაშიდმანეშ

შპს TR Company ს/ნ 404404435

კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	**62,316,643**		**-25,239,846**	**37,076,797**
ამონაგები				
სხვა ცვლილებები	44000		861,753	
გადახდილი დივიდენდები	-	-		
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	**62,360,643**	-	**-26,101,599**	**36,259,044**

შპს TR Company
დირექტორი ტაიებ რაშიდმანეშ

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა კონსოლიდირებული

მომზადების საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს-ები) შესაბამისად ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.ჯგუფს, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარდა, საქართველოს კანონმდებლობით, ევალება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რომელიც ამავე დოკუნეტში არ არის წარდგენილი. იგი წარმოდგენილია მშობელი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს TR Company 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა შემდგომ შვილობილ კომპანიებს:

დასახელება	ფლობის წილი	საქმიანობა	ქვეყანა
შპს TR Georgia Project 2 ს/ნ 404406282	100%	შერეული სოფლის მეურნეობა	**საქართველო**

ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები.

უცხოულ ვალუტაში გადაანგარიშება

სამუშაო და წარდგენის ვალუტა ჯგუფის თითოეული ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც მოცემული ერთეული ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლიკვიდურობის რისკი.

ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირის დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმათავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება დაგროვილი ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარდგენილია დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული ისტორიული ღირებულებით.

მარაგები

მარაგები წარდგენილია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებებს შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს

სავაჭრო დებიტორები

სავაჭრო დებიტორები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოლენებს

(ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან

(ბ) პროდუქტიის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ როდესაც კომპანია მიაწოდებს მეორე მხარეს საქონელს, ან მომსახურებას.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. კომპანია წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.საქონლის რეალიზაცია აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადადის მყიდველზე, ზოგადად, ეს ფაქტი კომპანიის შემთხვევაში დგება საქონლის გადატვირთვასთან ერთად.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ

ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად

დაკავშირებული მხარეები.

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

კაპიტალის მართვა.

ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, ფუნქციონირება, რათა დამფუძნებლებმა მიიღომ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა მოახდინოს დამფუძნებლებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს დამფუძნებლებს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

მომწოდებლებთან ანგარიშწორების აღრიცხვა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ბასს21-ის მოთხოვნათა დაცვით. ანგარიშგების წარმოდგენისას მომწოდებლის მიმართ უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულების ფინანსური (მონეტარული) ანგარიშ(ებ)ი გადაიყვანება წარსადგენ ვალუტაში ბასს21-ის მოთხოვნათა დაცვით: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით; გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში

საშემოსავლო გადასახადი.
საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები
ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა. კომპანია ახორციელებს ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის გადახედვას ყოველი ანგარიშგების თარიღისათვის. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის შესწორება.
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ბიზნეს-საქმიანობის პროცესში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან.